ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №17

2020 წლის 31 მარტი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისათვის გომისმთის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24 -ე მუხლის 1ლი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეისტორიულად ჩამოყალიბებულ უბანს ეწოდოს „გომისმთა“, თანდართული რუკის თანახმად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**